

პანდემიის გავლენა საჯარო ელექტრონული სერვისების განვითარებაზე საქართველოში

ანა პიპინაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

აბსტრაქტი

ელექტრონული მმართველობა 21-ე საუკუნის მსოფლიოს ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, გამოგონებებმა და ინტერნეტმა მთლიანად შეცვალა მსოფლიოს განვითარების კურსი.

ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა და განვითარების ამ ახალმა ეტაპმა საზოგადოება გარდაქმნა ინფორმაციულ საზოგადოებად და სახელმწიფოებს არჩევანი აღარ დაუტოვა, გარდა იმისა, რომ მათაც გამოეჩინათ მაქსიმალური მიმდებლობა ცვლილებების მიმართ და ყველა სფეროში აპყოლოდნენ ინოვაციურ განვითარების ტალღას.

ნაშრომში განხილული იქნება ელექტრონული მმართველობის მნიშვნელობა, მისი დანერგვისა და განხორციელების გზები, უახლესი კვლევების ანალიზი, პანდემიის პერიოდში სახელმწიფოების გამოწვევები და პანდემიის გავლენა ელექტრონული მმართველობაზე.

ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული ელექტრონული მმართველობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილზე: საჯარო ელექტრონული სერვისების ეფექტურად მიწოდებაზე საქართველოში.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის და კონკრეტულად საჯარო ელექტრონული სერვისების განვითარების და მასზე პანდემიის გავლენის ანალიზი; მათი დანერგვისა და ინტეგრაციის პროცესის განხილვა.

Abstract

E-government is the logical development of the 21st century world. The technological revolution, inventions, and the Internet that began in the second half of the 20th century completely changed the course of the world development.

Technological innovations and this new stage of development transformed the society into an informational society and left the countries with no choice but to show maximum acceptance of change and follow the wave of innovative development in all areas.

The paper will discuss the importance of e-government, ways of its implementation and implementation, analysis of recent research, challenges of states during the pandemic period and the impact of the pandemic on e-governance.

The paper will focus on the most important part of e-government: the effective delivery of public e-services in Georgia.

The purpose of this paper is to analyze the development of e-government in Georgia and specifically public e-services and the impact of the pandemic on it; Discuss the process of their introduction and integration.